სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება № 15-23/78

ქ. თბილისი 26.08.2014 წელი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, აიპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებთ.

ერთის მხრივ აიპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, წარმოდგენილი მისი პროექტის (ხელშეკრულება№SU/22/10-105/14) ხელმძღვანელის თენგიზ ურუშაძის სახით შემდგომში „შემსყიდველი" და მეორეს მხრივ, შპს "ტრანსლიდერი"-ს ლაშა ცოფურაშვილის სახით შემდგომში „მიმწოდებელი", დადეს ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას (CV-63511000) უზრუნველყოს კომპლექსური ტურნეს ორგანიზებას შემდგომში „მომსახურება", დანართის შესაბამისად, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი მომსახურება და გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.2 შესყიდვის ობიექტის ნუსხა, ერთეულის ფასი და საერთო ფასი განისაზღვრება დანართის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება

2.1 მთლიანი სახელშეკრულებო თანხა ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს 3300 ლარს.

3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურების ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.2. მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას გაწეული მომსახურებისათვის

3.3. შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

3.4. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული . მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზის მითითებით.

4. გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული მომსახურება იქნება დროული და ხარისხიანი.

4.2 ამ გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება 5 დღის განმავლობაში, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

5.2 ანგარიშწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

5.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

6.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

6.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. უფლებების გადაცემა

7.1 მიმწოდებელს არ აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე„ ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

9.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურება ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

9.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

10. ინსპექტირება ხელშეკრულების შესრულებაზე

10.1 შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიერ სამუშაოს შესრულებისას, განახორციელოს კონტროლი. შემსყიდველმა წერილობითი სახით და დროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს გამოვლენილი ხარვეზები ინსპექტირებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლის-მძღოლი.

10.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მათ შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი

10.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. გამოყენებული სამართალი

13.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14. ხელშეკრულების ენა

14.1ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე.

15. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

15.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებს წერილობით ფორმას.

15.2 წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. აუცილებლობის შემთხვევაში ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინებების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაზავნის მეშვეობით..

15.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელისმოწერის დროიდან *და მოქმედებს 2014 წლის 10 ოქტომბრამდე.*

ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
აიპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	შპს "ტრანსლიდერი"
ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი 240.	ს/კ №426517637
ანგარიშის № GE93LB0115134383911049	
კოდი № LBRTGE22	გარდაბნის რაიონი სოფელი ნორიო
ს/კ № 211325653	ანგარიშის № GE14PC0563600100001660
„საქართველოს ეროვნული ბანკი"-ს ც/ფ	კოდი № MIBGGE22
შემსყიდველის სახელით	პროკრედიტ ბანკი
თენგიზ ულუმაძე	მიმწოდებლის სახელით
	ლაშა ცოფურაშვილი
პროექტის ხელმძღვანელი	დირექტორი

კომპლექსური ტურნეს გრაფიკი 30 აგვისტოდან - 8 სექტემბრის ჩათვლით

(პირველ დღეს შესაძლებელია პატარა +მიკროავტობუსის გამოყენება - რადგანაც იქნება 12-14 მგზავრი), დანარჩენი დღეები 35 კაცზე.

30 აგვისტო - შაბათი - სასტუმროდან - აგრარულ უნივერსიტეტში - სასტუმროში შეიძლება პატარა (მიკროავტობულით)
31 აგვისტო - კვირა -თბილისი-ქუთაისი-ზუგდიდის მიმართულებით (ფარცხანაყანები - 10 კმ ქუთაისიდან)- ქუთაისი
1 სექტემბერი - ორშაბათი- ქუთაისი-ფოთი-ოზურგეთი (ანასეული-ოზურგეთიდან 2 კმ)- აჯამეთი (ქუთაისიდან 10 კმ) - თბილისი
2 სექტემბერი - სამშაბათი - თბილისი-დედოფლის-წყარო- შირაქის მიმართულებით (დედოფლის წყაროდან 10 კმ) - ალაზნის ველზე (წნორიდან 10 კმ) – თბილისი
3 სექტემბერი - ოთხშაბათი - თბილისი - ბაკურიანი
4 სექტემბერი - ხუთშაბათი - ბაკურიანი-ცხვრა-წყარო-წალკა-თბილისი
5 სექტემბერი - პარასკევი - თბილისი-გომბორის უღელტეხილი-თელავი-გურჯაანი-თბილისი
6 სექტემბერი - შაბათი - თბილისი-სტეფანწმინდა-თბილისი
7 სექტემბერი - კვირა - თბილისი-წხვარიჭამია-თბილისი
8 სექტემბერი – ორშაბათი - თბილისი -მცხეთა (ქარსანი - თბილისიდან 5 კმ)- თბილისი

ავტობუსის მძღოლის კვების და სასტუმროს (ქუთაისი, ბაკურიანი) ხარჯებს იღებენ თავის თავზე ღონისძიების ორგანიზატორები.

მიღება - ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი 31.08.2014 წელი

ჩვენ ქვემო ხელის მომწერნი, ერთის მხრივ აგრარული უნივერსიტეტის პროექტის ხელმძღვანელი თენგის ურუშაძის სახით შემდგომში "მიმღები" და მეორეს მხრივ შპს "ტრანსლიდერის" დირექტორი ლაშა ცოფურაშვილი სახით შემდგომში "მიმწოდებელი" ვადასტურებთ, რომ:

"მიმწოდებელმა" შეასრულა და "მიმღებმა" მიიღო შემდეგი ღირებულების მომსახურება:

№	მომსახურეობის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ღირებულება ლარი
1	კომპლექსური ტურნეს ორგანიზება	30–31 აგვისტო	2	1000.00
	ჯამი			1000.00

"მიმღები"

"მიმწოდებელი"

მიღება - ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი

08 09.2014 წელი

ჩვენ ქვემო ხელის მომწერნი, ერთის მხრივ აგრარული უნივერსიტეტის პროექტის ხელმძღვანელი თენგის ურუშაძის სახით შემდგომში "მიმღები" და მეორეს მხრივ შპს "ტრანსლიდერის" დირექტორი ლაშა ცოფურაშვილი სახით შემდგომში "მიმწოდებელი" ვადასტურებთ, რომ:

"მიმწოდებელმა" შეასრულა და "მიმღებმა" მიიღო შემდეგი ღირებულების მომსახურება:

№	მომსახურეობის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ღირებულება ლარი
1	კომპლექსური ტურნეს ორგანიზება	1-8 სექტემბერი	8	2300.00
	ჯამი			2300.00

"მიმღები"

"მიმწოდებელი"

შპს „ ტრანსლიდერი“

გარდაბნის რაიონი სოფელი ნორიო

საიდენტიფიკაციო ნომერი 426517637

პროკრედიტ ბანკის ორთაჭალის ფილიალი

კოდი: **MIBGGE22**

ა/ა **GE14PC 056 360 010 000 16 60**

დირექტორი

ლაშა ცოფურაშვილი

lasha_lts@yahoo.com>